3.3.1	<p>კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)</p> <p>ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის დაფინანსება ქალაქში სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებისა და მართვის მიზნით.</p>
3.3.2	<p>ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)</p> <p>3 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;</p> <p>23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნის დღის აღნიშვნა;</p> <p>9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;</p> <p>9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;</p> <p>26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;</p> <p>1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;</p> <p>2-3 სექტემბერი - ბათუმობის ღონისძიებები;</p> <p>ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები.</p>
3.3.3	<p>კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)</p> <p>ებრაული, აზერბაიჯანული, უკრაინული, რუსული, სომხური, იეზიტური, თურქული, ბერძნული და გერმანული ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება.</p>
3.3.4	<p>საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 03)</p> <p>კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი;</p> <p>მონოპიესების საერთაშორისო ფესტივალი;</p> <p>საავტორო კინოს ბათუმის XIII საერთაშორისო ფესტივალი;</p> <p>ბათუმის ანიმაციური ფილმების X საერთაშორისო ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამა;</p> <p>გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი.</p>
3.3.5	<p>კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)</p> <p>დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით კონკურსში გამარჯვებულ პირთა დაფინანსება.</p>
3.4	<p>კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ფოლკლორის ხელშეწყობა; - თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა; - კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა; - ხელოვანთა ხელშეწყობა; - ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა.
	<p>ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)</p>



3.4.1	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმის“ დაფინანსება.
3.4.2	<p>თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)</p> <p>ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ჯაზ-ბიგ ბენდის და ჯგუფი „GEO PLANET“-ის დაფინანსება.</p>
3.4.3	<p>კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)</p> <p>ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა კამერული გუნდის, სიმებიანი კვარტეტის და სასულე ორკესტრის დაფინანსება.</p>
3.4.4	<p>ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)</p> <p>საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილე პირთა დაფინანსება: იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მოღვაწეობენ ბათუმში და სურთ მონაწილეობის მიიღება საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში (მათ შორის კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში). ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით;</p> <p>გამოფენებისა და გასტროლების ორგანიზატორთა დაფინანსება: საქართველოს მასშტაბით ჯგუფური, თუ პერსონალური გამოფენებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და თეატრების გასტროლების ხელშეწყობა.</p>
3.4.5	<p>ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)</p> <p>მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-ადმინისტრირება;</p> <p>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები;</p> <p>ბეჭდური გამოცემების შექმნა, წიგნადი ფონდის შევსება-განახლება;</p> <p>ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება,</p> <p>ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკის სახურავის, სახანძრო კიბის, სახანძრო სიგნალიზაციის და პანდუსის მოწყობა.</p>
3.5	<p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება (პროგრამული კოდი 05 05)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია.
3.5.1	<p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 05 05 01)</p> <p>ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია.</p>
3.6	<p>ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალგაზრდული ცენტრის შექმნა; - ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა - სტუდენტური საზაფხულო დასაქმება.
3.6.1	<p>ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)</p> <p>ახალგაზრდული ცენტრის მართვა;</p> <p>ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა;</p> <p>ახალგაზრდული ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;</p>



	<p>შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება;</p> <p>ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა;</p> <p>შეხვედრა წარმატებულ ახალგაზრდებთან.</p>
3.6.2	<p>ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)</p> <p>ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?</p> <p>ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი“ (I ეტაპი);</p>
4	<p>პრიორიტეტი: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)</p>
4.1	<p>ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა; - ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია; - ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; - მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება; - C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება; - შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია; - ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია; - ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება; - მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება; - ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება.
4.1.1	<p>მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)</p> <p>ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p> <p>ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p> <p>მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p> <p>18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება;</p> <p>18 წლის ასაკის ზემოთ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა მატერიალური დახმარება;</p> <p>პარკინსონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;</p> <p>მოწყვლადი სოციალური ჯგუფების დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის 100 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.</p>
4.1.2	<p>ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია (პროგრამული კოდი 06 01 02)</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული 30-დან 40 წლამდე და 70 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის მამოლოგის კონსულტაცია და მამოგრაფია;</p> <p>25 დან 30 წლამდე ასაკის ქალებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია;</p>



	<p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული ქალებისათვის ონკო მარკერებით გამოკვლევა; საშვილოსნოს, საკვერცხეების, მკერდის, ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიებით;</p> <p>60 წლის ზემოთ ასაკის ქალებისათვის საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და ექოსკოპია.</p>
4.1.3	<p>ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 04)</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული, შშმ სტატუსის მქონე 18 წელს გადაცილებული პირის ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია (25 ბენეფიციარი).</p>
4.1.4	<p>მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 05)</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების ბენეფიციარები, რომელთაც წინა წლებში (2016-2017 წწ.) არ უსარგებლიათ მსგავსი მომსახურებით და ომში დაინვალიდებული და ასაკით პენსიონერი ომის ვეტერანები; ხოლო 18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვები ისარგებლებენ სტომატოლოგიური, ორთოპედიული და ორთოდონტიული მომსახურებით.</p>
4.1.5	<p>C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 06)</p> <p>საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის #169 დადგენილებით ამოქმედდა "C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე" სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც C ჰეპატიტით დაავადებულ პირებს უტარდებათ მედიკამენტოზური მკურნალობა და დიაგნოსტიკა თანადაფინანსებით: სოციალურად დაუცველ მოსახლეობას (0-70000 სარეიტინგო ქულა) 70%, ხოლო სხვა კატეგორიას - 30% ფასდაკლებით. პროგრამის ხელშეწყობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას (0-70000 სარეიტინგო ქულამდე) სრულად დაუფინანსდება მომსახურება, ხოლო სხვა კატეგორიის მოსახლეობას დამატებით სრული ღირებულების 42 %.</p>
4.1.6	<p>შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 07)</p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების და მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების მომსახურება (ურეკი);</p> <p>ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების, სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მომსახურება (ურეკი);</p> <p>ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ პირების, ომის ინვალიდების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების თანმხლები პირების მომსახურება (ურეკი);</p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების და ომის ვეტერანი ასაკით პენსიონერების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარების მომსახურება (წყალტუბო);</p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ინვალიდების თანმხლები პირების მომსახურება (წყალტუბო);</p> <p>ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურება (წყალტუბო);</p> <p>შშმ სტატუსის ბავშვთა, ომის ვეტერანი პენსიონერების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების, ომის ინვალიდების და თანმხლები პირების მომსახურება (ბორჯომი);</p> <p>ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების მომსახურება (ბორჯომი).</p>
	<p>ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 06 01 09)</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდებათ სმენის და მუკოვისციდოზის (რადგან სხვა გენეტიკური დაავადებების-ფენილკეტონურია, ჰიპოთირეოზის კვლევა ხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამით) სკრინინგული გამოკვლევა;</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაცია მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე</p>



4.1.7	<p>სპეციალისტის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, საერთო ჯამში თვეში 8 მომსახურების გაწევა, აგრეთვე მშობლებისათვის ტრენინგ-სემინარების ჩატარება;</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევების მქონე 2-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდება ფსიქოლოგის და ლოგოპედის მომსახურება;</p> <p>აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2 დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა საშუალოდ 15 გაკვეთილი თვის განმავლობაში;</p> <p>0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა.</p>
4.1.8	<p>ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 10)</p> <p>ქ. ბათუმში რეგისტრირებული ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება 60 ლარის ოდენობით;</p> <p>ლეიკემიით დაავადებული 18 წლამდე ასაკის პირებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარება 200 ლარის ოდენობით.</p>
4.1.9	<p>მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (პროგრამული კოდი 06 01 12)</p> <p>ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსების ფარგლებში მომსახურება გაეწევა ქ. ბათუმში 2018 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ საქართველოს შემდეგ მოქალაქეებს, რომლებიც ჩართული არიან საყოველთაო ჯანდაცვაში: N 36-ე დადგენილებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახის წევრებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა; მოქალაქეებს, რომელთა დახმარების საჭიროება დასტურდება ადმინისტრაციული ერთეულის მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ასევე 165-ე დადგენილების ბენეფიციარებს (0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, ასაკით პენსიონერებს, სტუდენტებს), რომელთაც არ აქვთ 70001-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა და რომლებიც არ სარგებლობენ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით. მათ დაუფინანსდებათ მკურნალობა გარკვეული სქემის მიხედვით. (საყოველთაო დაზღვევით განსაზღვრულ ზღვრულ ტარიფამდე).</p> <p>ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ასევე ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (4 ბენეფიციარი, თითოეულზე არაუმეტეს 30000 ლარი).</p>
4.1.10	<p>ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება (06 01 13)</p> <p>შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ ადმინისტრაციის სახელფასო დანამატი;</p> <p>სამედიცინო პერსონალის სახელფასო დანამატი;</p> <p>სამედიცინო პერსონალის შვებულების და ბიულეტენის ანაზღაურება;</p> <p>ზაფხულის სეზონთან (3 თვე) დაკავშირებით 3 დამატებითი ბრიგადის ხარჯები;</p> <p>ზამთრის სეზონთან (3 თვე) დაკავშირებით 2 დამატებითი ბრიგადის ხარჯები;</p> <p>სასწრაფო დახმარების მანქანების დაზღვევის ხარჯები;</p> <p>შპს „ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“ კაპიტალის გაზრდა სასწრაფო დახმარების მანქანების (6 ერთეული) შეძენის მიზნით.</p>
4.1.11	<p>თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (06 01 14)</p> <p>მობილური გუნდის მიერ ბენეფიციართა ბინაზე მომსახურება.</p>
	<p>სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება; - მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;



4.2

- მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;
 - მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;
 - მუნიციპალური უფასო სასადილო;
 - დროებითი ღამის თავშესაფარი;
 - საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა;
- მოწყველადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერა.

კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 01)

წყლისა და კანალიზაციის საფასურის დაფარვა (თვეში ერთ სულზე 1,85 ლარი):

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი
- ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები
- 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები

დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადასახადის დაფარვა (თვეში ერთ სულზე 1,30 ლარი):

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი
- ვეტერანი, მათთან გათანაბრებული პირი, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები
- 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახები (5 და მეტი შვილი), მარტოხელა დედები და მათი შვილები

4.2.1

სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის დაფარვა (თვეში ერთ ოჯახზე 5 ლარი):

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირი და შშმ სტატუსის ბავშვი
- ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები

გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ს თანადაფინანსება (არაუმეტეს 360 ლარისა) ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე:

- მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და შშმ სტატუსის ბავშვები
- ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები და მარჩენალდაკარგულები
- 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირები

ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულების თხევადი აირის ტალონით დახმარება (ყოველთვიურად 5 კგ).

მოწყველადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 02)

სადღესასწაულო დღეებში ვეტერანებზე (ომის მონაწილეები და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები) მატერიალური დახმარების გაწევა:

4.2.2

- 15 თებერვალი – სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები - 300 ლარი;
- 9 მაისი – II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 400 ლარი;
- 27 სექტემბერი – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და ინვალიდები – 300 ლარი;
- ახალ წელთან დაკავშირებით - სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძოლებში დაინვალიდებული ვეტერანები; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრები და დაინვალიდებული ვეტერანები; II მსოფლიო ომის მონაწილეები და II მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები – 300 ლარი.

შვილის შეძენასთან დაკავშირებით 0-100000 სარეიტინგო სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად



	<p>დაუცველი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 800 ლარის ოდენობით</p> <p>ვეტერანთა (ომის მონაწილე) და სოციალურად დაუცველ პირთა გარდაცვალების შემთხვევაში მათ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით.</p> <p>ეტლით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების სატრანსპორტო ხარჯების სუბსიდირება.</p>
4.2.3	<p>მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება (პროგრამული კოდი 06 02 03)</p> <p>განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (მასწავლებლები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, სტუდენტები, იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკით პენსიონერები, საბავშვო ბაღების და ბიბლიოთეკების თანამშრომლები, რომელთა ხელფასი არ აღემატება 650 ლარს თვეში) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 50%-ით სუბსიდირება;</p> <p>განსაზღვრული სოციალური კატეგორიების პირთა (ბათუმის ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ბენეფიციარები, ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირები, 0-70 000 ქულის მქონე ბენეფიციარები, შშმ პირები, მოსწავლეები) მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის 100%-ით სუბსიდირება.</p>
4.2.4	<p>მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)</p> <p>მზრუნველობას მოკლებულ პირთა დახმარება;</p> <p>ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება.</p>
4.2.5	<p>მუნიციპალური უფასო სასადილო (პროგრამული კოდი 06 02 06)</p> <p>4779 ბენეფიციარზე გათვლილი მუნიციპალური უფასო სასადილოების ადმინისტრირება და მართვა;</p> <p>საკვები პროდუქტების შეძენა;</p> <p>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.</p>
4.2.6	<p>დროებითი ღამის თავშესაფარი (პროგრამული კოდი 06 02 07)</p> <p>50 ბენეფიციარზე გათვლილი დროებითი ღამის თავშესაფარის ადმინისტრირება და მართვა;</p> <p>ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურება;</p> <p>საკვები პროდუქტების შესყიდვა;</p> <p>მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.</p>
4.2.7	<p>საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 08)</p> <p>ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალური ცენტრისათვის დახმარების გაწევა;</p> <p>ა(ა)იპ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილის" ქალაქ ბათუმის ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა;</p> <p>ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციაზე დახმარების გაწევა.</p>
	<p>მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა (პროგრამული კოდი 06 02 10)</p> <p>სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001; სამი და მეტშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30.001; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1.001-ს, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, სოციალური დანიშნულების საქონლისა და სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რემონტი;</p> <p>სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახების, უდედმამო ბავშვებისა და მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა;</p>



4.2.8	<ul style="list-style-type: none"> • 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 80 ლარის ოდენობით; • 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; • 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5- და მეტიშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 180 ლარის ოდენობით; • 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით; • უდემამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით; • მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით; • სოციალურად დაუცველი ოჯახების (0-100000 ქულის მქონე) ყოველ ერთ წლამდე ასაკის ბავშვზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა.
4.2.9	<p>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 11)</p> <p>უსინათლო შშმ პირების და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების გამცილებლით მომსახურება.</p>
4.2.10	<p>დასაქმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 12)</p> <p>განხორციელებული ბენეფიციართა სუბსიდირება (დამსაქმებლის მიერ წარდგენილ ვაკანსიაზე გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების 30%-ის ოდენობით, არაუმეტეს 200 (ორასი) ლარისა).</p>
4.3	<p>სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა (პროგრამული კოდი 06 03)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი; - დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები; <p>მაწაწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები.</p>
4.3.1	<p>ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარიული მონიტორინგი (პროგრამული კოდი 06 03 01)</p> <p>ჩამონაბანის აღება;</p> <p>კალორაჟის განსაზღვრა;</p> <p>განათების კოეფიციენტის განსაზღვრა;</p> <p>აუზის წყლის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კვლევა;</p> <p>სილამაზის სალონებისა და სტომატოლოგიური კაბინეტების ლაბორატორიული მონიტორინგი სტერილობაზე;</p> <p>სადეზინფექციო საშუალებების ქიმიური კვლევა;</p> <p>კვების პროდუქტების მონიტორინგი (ბაღებში);</p> <p>კვების პროდუქტების მონიტორინგი (სასადილოებში).</p>
4.3.2	<p>დეზინსექცია-დერატიზაციის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 02)</p> <p>მრავალსართულიანი (3 სართული და მეტი) სახლებისა და სადარბაზოების დეზინსექცია თვეში ორჯერ, მაისი-ოქტომბერი (6 თვე);</p> <p>ნაგავშემკრები კონტეინერების დეზინსექცია ყოველთვიურად (12 თვე);</p> <p>ქალაქის ტერიტორიის დეზინსექცია თვეში ორჯერ მაისი-ოქტომბერი (6 თვე);</p> <p>ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია ყოველთვიურად (12 თვე);</p> <p>ერთი და ორსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, იტალიური ეზოებისა და სარდაფების დეზინსექცია თვეში ერთჯერ, მაისი-ოქტომბერი;</p>



	<p>ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, შენობა - ნაგებობების და სათავსოების გარშემო;</p> <p>ქვეწარმავლების საწინააღმდეგო სპეციალური პრეპარატებით დამუშავება, შენობა-ნაგებობებში და მათ სარდაფებში, სხვენებზე, საწყობებში, სხვა სამეურნეო და დამხმარე დანიშნულების ნაგებობებში;</p> <p>ქვეწარმავლობის დაჭერა, ტრანსპორტირება და დაუსახლებელ ტერიტორიაზე გაშვება.</p>
4.3.3	<p>მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 03 03)</p> <p>ცხოველების (ზრდასრული ძალი კატა) დაჭერა და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკამდე ავტომანქანით. სტერელიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია, დაბირკვა და საჭიროების შემთხვევაში ევთანაზია;</p> <p>ბუნებრივ არეალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების ეტაპობრივი გამოყვანა ქალაქის ტერიტორიიდან და ტრანსპორტირება ვეტერინალურ კლინიკაში რევაქცინაციასთან დაკავშირებული პროცედურების ჩატარების მიზნით;</p> <p>ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ცხოველების ლემის (სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილით) დროული გამოყვანა სპეციალური ტრანსპორტით და „ბეიკერის“ ორმოში დამარხვა;</p> <p>მოზარდი ცხოველების (ლეკვი, კნუტი) დაჭერა ქალაქის ტერიტორიაზე და ტრანსპორტირება თავშესაფარში (ვეტერინალური კლინიკა) მოვლა პატრონობის და გაშვილების მიზნით.</p>
5	<p>პრიორიტეტი: ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება (პროგრამული კოდი 07 00)</p>
5.1	<p>ქალაქის დაგეგმარება (პროგრამული კოდი 07 01)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა; - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
5.1.1	<p>ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 01)</p> <p>ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული გეგმარებითი დავალების შესაბამისად ქალაქ ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება;</p> <p>ქალაქის ცალკეული უბნების განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავება.</p>
5.1.2	<p>საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (პროგრამული კოდი 07 01 02)</p> <p>გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>მიწისქვეშა კომუნუკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;</p> <p>სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.</p>
	<p>საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 07 01 03)</p>



5.1.3	<p>ბოტანიკურ ბაღში მცხოვრებ ოჯახზე საკომპენსაციო თანხების გაცემა;</p> <p>ზ. გამსახურდიას ქ.#11-ში მდებარე, ხანძრის შედეგად</p> <p>დამწვარი შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებზე საცხოვრებელი ფართების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხების გაცემა.</p>
5.2	<p>ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 02)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა; - მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება; - საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის შექმნის ხელშეწყობა; - ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება.
5.2.1	<p>ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნა (პროგრამული კოდი 07 02 01)</p> <p>ინდუსტრიული/საწარმოო ბიზნეს ცენტრის შექმნის საპროექტო სამუშაოები.</p>
5.2.2	<p>მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება (პროგრამული კოდი 07 02 02)</p> <p>დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა.</p>
5.2.3	<p>საერთაშორისო ბიზნესცენტრის შექმნის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 07 02 03)</p> <p>საერთაშორისო ბიზნესცენტრის შექმნისა და განვითარების ბიზნეს მოდელის შემუშავება.</p>
5.2.4	<p>ეკონომიკური ფორუმების ორგანიზება (პროგრამული კოდი 07 02 04)</p> <p>ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი.</p>
5.2.5	<p>ძველი ბათუმის ეზოების განვითარების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 07 02 05)</p> <p>ბათუმის მდგრადი განვითარების ფორუმი.</p>
5.3	<p>ქალაქის ფუნქციონალური პროფილის გაძლიერება და დივერსიფიკაცია (პროგრამული კოდი 07 03)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული სტრატეგიული და სხვა ტიპის კვლევების განხორციელება.
5.3.1	<p>ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებული სტრატეგიული და სხვა ტიპის კვლევების განხორციელება (პროგრამული კოდი 07 03 01)</p> <p>ბათუმის ქალაქწარმომქმნელი ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა;</p> <p>ბათუმის ქალაქმომსახურების ფუნქციების ანალიზი და ამ ფუნქციების განვითარების პერსპექტივების შესწავლა;</p> <p>ინვესტირების გეგმა, საინვესტიციო რუკა;</p> <p>ქალაქის ტურისტული პოტენციალის კვლევა;</p> <p>ბათუმში სოციალური და კულტურული ცენტრების განვითარების კონცეფციის მომზადება;</p>



	გარე განათების ენერგოეფექტური სისტემის დანერგვის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა.
5.4	<p>მუნიციპალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 07 04)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება; - თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა; - ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება.
5.4.1	<p>ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება (პროგრამული კოდი 07 04 01)</p> <p>ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ბიზნესპროცესების ანალიზი, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, ერთიანი ელექტრონული სერვისების და გეოსერვისების პორტალის შექმნა.</p>
5.4.2	<p>თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა (პროგრამული კოდი 07 04 02)</p> <p>ქონების პასპორტიზაცია;</p> <p>ქონების აუდიტორული შეფასების დასკვნების მომზადება;</p> <p>ელექტრონული აუქციონების მომსახურების შექმნა;</p> <p>თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვითი მომსახურების შესყიდვა;</p> <p>ქალაქის ქონების ინვენტარიზაცია.</p>
5.4.3	<p>ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირება (პროგრამული კოდი 07 04 03)</p> <p>დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება.</p>
5.4.4	<p>ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტო (პროგრამული კოდი 07 04 04)</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების სააგენტოს დაფინანსება.</p>
5.5	<p>სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 07 05)</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა; - მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.
5.5.1	<p>სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა (პროგრამული კოდი 07 05 01)</p> <p>ადმინისტრირება და მართვა.</p>
5.5.2	<p>მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 07 05 02)</p> <p>შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტის" სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);</p> <p>შპს "ქ. ბათუმის ავტოტრანსპორტის" კაპიტალის ზრდა (ველოტერმინალის ბოქსების და ვიდეოკამერების სისტემის შექმნის მიზნით).</p>
5.5.3	<p>ბათუმის ავტობუსების პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 07 05 03)</p> <p>შპს "ქ. ბათუმის ავტოტრანსპორტის" კაპიტალის ზრდა (25 ერთეული ევრო 5 დიზელის და 10 ერთეული ელექტრო ავტობუსის დამატებული ღირებულების გადასახადის თანადაფინანსების მიზნით).</p>



თავი III

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 13. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 161,149.9 ათასი ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

პროგრამული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სულ ასიგნებები		139027.0	167102.8	161149.9		161149.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2665.0	2614.0	2580.0		2580.0
	ხარჯები	83689.7	87921.5	86392.3		86392.3
	შრომის ანაზღაურება	20853.4	19614.0	19679.6		19679.6
	საქონელი და მომსახურება	28433.3	32093.2	34385.5		34385.5
	პროცენტი	3162.4	4204.3	4447.5		4447.5
	გრანტები	1404.4	10.0	25.5		25.5
	სუბსიდიები	12071.7	14439.6	13602.3		13602.3
	სოციალური უზრუნველყოფა	6814.3	7153.6	8132.8		8132.8
	სხვა ხარჯები	10950.3	10406.8	6119.1		6119.1
	არაფინანსური აქტივები	46430.4	61720.6	56285.5		56285.5
	ფინანსური აქტივები	93.3	737.5	4677.6		4677.6
	ვალდებულებები	8813.7	16723.2	13794.5		13794.5
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	20867.7	29956.8	26838.2		26838.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	317.0	249.0	218.0		218.0
	ხარჯები	12172.4	13338.1	12700.3		12700.3
	შრომის ანაზღაურება	6178.8	5353.7	4722.5		4722.5
	საქონელი და მომსახურება	1992.9	2571.5	2517.8		2517.8
	პროცენტი	3162.4	4204.3	4447.5		4447.5



	გრანტები	4.4	10.0	25.5		25.5
	სოციალური უზრუნველყოფა	34.8	49.2	50.0		50.0
	სხვა ხარჯები	799.1	1149.4	937.0		937.0
	არაფინანსური აქტივები	547.4	358.0	343.4		343.4
	ვალდებულებები	8148.0	16260.7	13794.5		13794.5
01 01	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1606.3	1621.5	1678.2		1678.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	36.0	32.0	32.0		32.0
	ხარჯები	1516.9	1613.5	1652.7		1652.7
	შრომის ანაზღაურება	1086.1	1119.8	1098.2		1098.2
	საქონელი და მომსახურება	360.9	407.1	467.5		467.5
	სოციალური უზრუნველყოფა	1.5	14.2	15.0		15.0
	სხვა ხარჯები	68.4	72.4	72.0		72.0
	არაფინანსური აქტივები	89.4	8.0	25.5		25.5
01 02	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია	7268.8	6797.7	5841.8		5841.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	281.0	217.0	186.0		186.0
	ხარჯები	6775.1	6447.7	5523.9		5523.9
	შრომის ანაზღაურება	5092.8	4233.9	3624.3		3624.3
	საქონელი და მომსახურება	1632.0	2151.8	1819.1		1819.1
	გრანტები	4.4	10.0	25.5		25.5
	სოციალური უზრუნველყოფა	33.3	35.0	35.0		35.0
	სხვა ხარჯები	12.7	17.0	20.0		20.0
	არაფინანსური აქტივები	458.0	350.0	317.9		317.9
	ვალდებულებები	35.7				
01 03	სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	11992.6	20465.0	18242.0		18242.0
	ხარჯები	3880.3	4204.3	4447.5		4447.5
	პროცენტი	3162.4	4204.3	4447.5		4447.5
	სხვა ხარჯები	718.0				
	ვალდებულებები	8112.2	16260.7	13794.5		13794.5



01 03 01	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება	213.0	196.6	196.6		196.6
	ხარჯები	72.5	56.3	38.5		38.5
	პროცენტი	72.3	56.3	38.5		38.5
	სხვა ხარჯები	0.2				
	ვალდებულებები	140.5	140.3	158.1		158.1
01 03 02	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება	11779.6	20268.4	17985.3		17985.3
	ხარჯები	3807.8	4148.0	4348.9		4348.9
	პროცენტი	3090.1	4148.0	4348.9		4348.9
	სხვა ხარჯები	717.8				
	ვალდებულებები	7971.8	16120.4	13636.4		13636.4
01 03 03	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება			60.1		60.1
	ხარჯები			60.1		60.1
	პროცენტი			60.1		60.1
01 04	სარეზერვო ფონდი		1030.0	750.0		750.0
	ხარჯები		1030.0	750.0		750.0
	სხვა ხარჯები		1030.0	750.0		750.0
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0.1	30.0	95.0		95.0
	ხარჯები		30.0	95.0		95.0
	სხვა ხარჯები		30.0	95.0		95.0
	ვალდებულებები	0.1				
01 06	წვევამდელთა ტრანსპორტირება		12.6	21.4		21.4
	ხარჯები		12.6	21.4		21.4
	საქონელი და მომსახურება		12.6	21.4		21.4
01 07	თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება			91.0		91.0
	ხარჯები			91.0		91.0
	საქონელი და მომსახურება			91.0		91.0
01 08	მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება			118.8		118.8



	ხარჯები			118.8		118.8
	საქონელი და მომსახურება			118.8		118.8
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	8.3				
	ხარჯები	8.3				
	საქონელი და მომსახურება	8.3				
02 01	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	8.3				
	ხარჯები	8.3				
	საქონელი და მომსახურება	8.3				
03 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	71282.9	84192.0	76417.2		76417.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	493.0	512.0	424.0		424.0
	ხარჯები	29919.4	31411.5	26270.6		26270.6
	შრომის ანაზღაურება	3439.1	3277.0	2373.7		2373.7
	საქონელი და მომსახურება	16112.8	17860.3	18974.4		18974.4
	სუბსიდიები	1950.0	1950.0	1087.5		1087.5
	სოციალური უზრუნველყოფა	11.5	13.8	2.5		2.5
	სხვა ხარჯები	8406.0	8310.4	3832.5		3832.5
	არაფინანსური აქტივები	40750.8	52291.8	47553.2		47553.2
	ფინანსური აქტივები		44.2	2593.4		2593.4
	ვალდებულებები	612.7	444.5			
03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	28091.2	38967.6	37660.0		37660.0
	ხარჯები	5191.3	5499.6	6041.2		6041.2
	საქონელი და მომსახურება	5191.3	5499.6	6041.2		6041.2
	არაფინანსური აქტივები	22732.5	33231.8	31618.8		31618.8
	ვალდებულებები	167.4	236.2			
03 01 01	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	1918.7	1916.3	2303.5		2303.5
	ხარჯები	1895.9	1896.8	2303.5		2303.5
	საქონელი და მომსახურება	1895.9	1896.8	2303.5		2303.5



	ვალდებულებები	22.7	19.5		
03 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	22532.9	31667.0	31113.4	31113.4
